საქ. განსახკომი

თ. ს. უ. დ/პედ-სექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ენის მეთოდიკის

პროგრამა

(ლიტერატურულ ფაკულტეტისათვის)

19 თბილისი 38

რედაქტორი: **ს. გაჩეჩილაძე**

მთავლიტი № 1147
შეკვეთა № 543
ტირაჟი 1000

პოლიგრაფკომბინატი ჟორესის ქ. № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

K 67.973
2

ქართული ენის მეთოდიკა

1. ქართული ენა, როგორც დამოუკიდებელი და დამხმარე დისციპლინა ჩვენს საშუალო სასწავლებლებში. მისი მნიშვნელობა და ადგილი სხვა დისციპლინათა შორის. ქართული ენის სწავლების თანამედროვე მდგომარეობა.

2. ქართული ენის მეთოდიკა. სხვადასხვაგვარი შეხედულება მეთოდიკის საჭიროებაზე. მათი კრიტიკა. მეთოდიკის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ამოცანები.

გრამატიკის საკითხები

3. გრამატიკის საგანი. გრამატიკის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გრამატიკის ცოდნის მნიშვნელობა სწორი წერისა და კითხვის დაუფლების საქმეში.

4. სხვადასხვაგვარი გრამატიკული მიმდინარეობა და მათი გამოვლინება სასკოლო გრამატიკაში. მათი კრიტიკა. თანამედროვე მეცნიერული გრამატიკა და სასკოლო გრამატიკა. მათი ურთიერთობა.

5. ქართული ენის სტაბილური პროგრამა და სახელმძღვანელოს საკითხი. პროგრამის აგების ძირითადი პრინციპები, მოცემული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილებაში.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. გრამატიკული მასალის განაწილება სკოლებისდა მიხედვით. მასალის განაწილების საფუძველი.

7. გრამატიკის სწავლების მეთოდები. მათი სათანადო გამოყენება კლასისა და გრამატიკული მასალების მიხედვით. „კითხვების“ ხერხით გრამატიკის სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

8. ხერხები გრამატიკის საფუძვლიანი შესწავლისა (ზუსტ განსაზღვრებათა მოცემა, განზოგადების ხერხები, დაწვრილებითი ანალიზი (გარჩევა) გრამატიკული მასალისა, პრაქტიკული საკითხების დაკავშირება თეორიულთან, ტაბულების შედგენა და სხვ.). ე. წ. გრამატიკულ წესთა შეგნებული ცოდნის მნიშვნელობა.

9. ცოდნის აღრიცხვა გრამატიკაში (ახალი ტექსტის გარჩევა, განსაზღვრებათა ზუსტი ცოდნა, წესების პრაქტიკაში გამოყენება და სხვ.).

10. საშინაო დავალებათა მიცემა. მისი ხასიათი, მიზანი, მოცულობა. დავალების შემოწმება.

11. ქართული ენის სახელმძღვანელოს გარჩევა სტაბილურ პროგრამასთან დაკავშირებით.

12. თვალსაჩინო ხელსაწყოები (ტაბულები. მისი შედგენა და გამოყენება. ლექსიკონები, რუკები და სხვ.). სანიმუშო გაკვეთილების გადაცემა გრამატიკის სხვადასხვა თავიდან.

მართლწერის საკითხები

13. მართლმეტყველება და მართლწერა. მართლწერის ძირითადი პრინციპები. გრამატიკის ცოდნის მნიშვნელობა მართლწერისათვის.

14. მეთოდები მართლწერის განმტკიცებისა. სხვადასხვა კარნახი (წინასწარი, საკონტროლო, თავისუფალი...).

გადაწერა. მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ორთოგრაფიული ლექსიკონი. ორთოგრაფიული ტაბულების შედგენა და გამოყენება.

15. ნაწერის გასწორების წესები. აღრიცხვა და კლასიფიკაცია სტილისტიკურ, მორფოლოგიურ და ორთოგრაფიულ შეცდომათა. შეცდომათა გამოსწორების ხერხები.

16. პუნქტუაცია. პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა. სინტაქსური საფუძველი პუნქტუაციისა. პუნქტუაცია და ინტონაცია, ინტონაციური მეთოდი. მისი კრიტიკა.

17. პუნქტუაციის ჩვევათა განმტკიცების ხერხები (გადაწერა, კარნახი, წინადადებათა დამთავრება, შევსება, სინტაქსური ანალიზი, სტილისტიკური ვარჯიშობანი და სხვ.).

18. პუნქტუციურ შეცდომათა აღრიცხვა.

19. საერთოდ შეცდომათა აცილების ხერხები.

მეტყველების განვითარება

20. წერითი და ზეპირი მეტყველება. მათი ურთიერთობა.

21. აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთდამოკიდებულება. ლენინის აზრი ენის სიწმინდის შესახებ.

22. მოწაფის მეტყველების გამდიდრების საკითხი. კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობა, ზეპირად დასწავლა ლექსებისა და მხატვრული ადგილებისა. კილოკაური მოვლენების არიდება.

23. ლექსიკის გამდიდრება მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის საშუალებით. სიტყვის დასწავლა მისი ზუსტი მნიშვნელობით. ბრძოლა სიტყვის უმართე-

სიტყვა-თქმათა გამოყენებასთან.

24. სიტყვათა კლასიფიკაცია მნიშვნელობის მიხედვით. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები; სიტყვათა წარმოების მნიშვნელობა. ონალური სიტყვები. სიტყვათა წარმოების ცოდნის მნიშვნელობა.

25. ხერხები წინადადებათა აგებისა, გავრცობისა, რთული წინადადების აზრის გადმოცემისა მარტივი წინადადებით და მარტივსა რთულით.

26. თხრობის თანდათანობითი განვითარება (გეგმის მიხედვით). ნაწარმოების შინაარსის მხატვრული გადმოცემა, მოყოლა, შთაბეჭდილების აღწერა და სხ.

ენის კაბინეტი

27. კაბინეტის მნიშვნელობა. კაბინეტის მოწყობა. კაბინეტის მუშაობის ფორმები და ხერხები.

К 61.933
2